ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4257914

ნომერი: AR1634944

თარიღი : 03.10.2018

გაცემის თარიღი : 12.11.2018

გაცნობის თარიღი : 13.11.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი ვაგზალი , N 2 , (ნაკვ. 05/056); ქალაქი თბილისი , მოედანი ვაგზალი , N 2 , (ნაკვ. 05/056);

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა კობახიძე პ/ნ 13001002540
- ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2

ორგანიზაცია:
- შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია კოდი: 202886788

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ თბილისში, სექტორი-ჩუღურეთი, მოედანი ვაგზალი N2-ში , (ნაკვეთი05/056)– ში, შპს „თბილისი მეტრო“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული I კლასის შენობის (2/1) დემონტაჟის სამუშაოების განხორციელებას . პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ. თბილისის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882008264987 საკადასტრო კოდი N 01.16.01.005.056.01.513 , არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები , ასევე სიტუაციური გეგმა ანაზომი ნახაზები) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ თბილისში, სექტორი-ჩუღურეთი, მოედანი ვაგზალი N2-ში , (ნაკვეთი05/056)– ში, შპს „თბილისი მეტრო“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული I კლასის შენობის (2/1) დემონტაჟის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას. გაითვალისწინეთ: სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმის დაცვით; –ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საპროექტო ობიექტის დემონტაჟის საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან; -დემონტაჟისას დაცული და შენარჩუნებული იქნას სადემონტაჟო შენობის მიმდებარედ არსებული ხე– ნარგაობა, ხის– მოჭრის ან გადარგვის საჭიროების შემთხვევაში საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.